EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

შავაძე საქართველოს წინააღმდეგ

Shavadze v. Georgia

საჩივარი N72080/12

გადაწყვეტილება

19 ნოემბერი 2020

ფაქტები:

მომჩივანი ციცინო შავაძე 1965 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა, რომელიც ცხოვრობს ბათუმში (საქართველო).

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის მეუღლის, სამხედრო ოფიცრის, გარდაცვალებას პოლიციის მიერ დაკავების დროს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის სამხედრო ძალებს შორის ხუთდღიანი ომის ფონზე, მომჩივნის მეუღლე რ.შ. შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების ძალებმა დააკავეს ბათუმის ქუჩებში.

მოგვიანებით, თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ იგი სამართალდამცველებმა სასტიკად სცემეს და დაუძახეს „ქვეყნის მოღალატე", რის შემდეგაც ფურგონით წაიყვანეს.

მოვლენათა ოფიციალური ვერსიის თანახმად, სამართალდამცველებმა რ.შ. დააკავეს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით. ბათუმიდან თბილისში გადაყვანის დროს, მან გაქცევა სცადა, რა დროსაც სასიკვდილოდ დაშავდა თანმხლები ოფიცრების მიერ.

მომჩივანი დავობდა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა სასტიკი არასათანადო მოპყრობის შედეგად, აცხადებდა, რომ მის სხეულზე აშკარა წამების ნიშნები აღინიშნებოდა. მან წარმოადგინა ვიდეო - მეუღლის სხეულის კადრები

მრავლობითი დაზიანებებით, მათ შორის ღრმა ჭრილობებით და თითების მოტეხილობებით.
შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყონებლივ დაიწყო სისხლის სამართლის წინასწარი გამოძიება რ.შ-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. მომდევნო დღეებში, მან გაატარა ყველა წინასაგამოძიებო ღონისძიება მანამ, სანამ გამოძიება გადასცა პროკურატურას. ამის შემდეგ გამოძიებას საქმეზე არანაირი დასკვნა არ გაუკეთებია და იგი დღემდე მიმდინარეობს. მომჩივანი, არაერთხელ დავობდა იმის შესახებ, რომ სამართალწარმოების დროს არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი ასევე, არ ჰქონია არც საქმის მასალებზე და არც გვამის გაკვეთის დასკვნაზე წვდომის უფლება.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით (სიცოცხლის უფლება), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ქ-ნი შავაძე დავობდა, რომ სამართალდამცავებმა მისი მეუღლე აწამეს და სიკვდილამდე მიიყვანეს. ის ასევე, აცხადებდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება არაეფექტიანი იყო.

სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

31. სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც პირს ჯანმრთელ მდგომარეობაში დააკავებენ და ის გარდაიცვლება სამართალდამცავი ორგანოების ხელში, ხელისუფლებისთვის დაკისრებული ვალდებულება, წარმოადგინონ ახსნა-განმარტება მომჩივნის მოპყრობის თაობაზე, განსაკუთრებით მკაცრია (იხ., *მერიემი ჩელიკი და სხვები თურქეთის წინააღმეგ,* no. 3598/03, § 61, 16 აპრილი, 2013). მტკიცებულებების შეფასების დროს, სტრასბურგის სასამართლო ზოგადად იყენებს ,,გონივრულ ეჭვს მიღმა'' მტკიცებით სტანდარტს. თუმცა, ასეთი მტკიცებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს ,,დასკვნებიდან ან ფაქტის გაუქარწყლებელი პრეზუმფციიდან. როდესაც შესაბამისი მოვლენები, მთლიანად ან უმეტესწილად, ექსკლუზიურად არის ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისთვის, ისევე, როგორც მათი ზედამხედველობის ქვეშ პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევაში, ფაქტების ძლიერი პრეზუმფცია მოქმედებს იმ დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებული იქნება პატიმრობისას''. ნამდვილად, ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი აწევს ხელისუფლების ორგანოებს და გულისხმობს მათი მხრიდან დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას (იხ., *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა],* no. 21986/93, §§ 97-100, ECHR 2000-VII, და *აკტაში თურქეთის წინააღმდეგ*, no. 24351/94, §§ 289-91, ECHR 2003-V (ამონარიდები)).

32. უკანონო ან საეჭვო სიკვდილის ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება კარგად არის დადგენილი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც შეიძლება არსებობდეს გამოძიების ჩატარებისკენ მიმართული წინააღმდეგობები და სირთულეები კონკრეტულ ვითარებაში, ხელისუფლების დაუყოვნებელი პასუხი არის სასიცოცხლო, მათ, როგორც კანონის უზენაესობის დამცველების, მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების საქმეში და რაიმე ფორმით მათი უკანონო ქმედებებში ჩართვის ან ასეთის მიმართ ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციისთვის. იმისათვის, რომ

კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდეს, გამოძიება უნდა იყოს ეფექტური იმ გაგებით, რომ დაადგინოს სათანადო ფაქტები და გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები. ეს ვალდებულება მიმართულია არა შედეგის, არამედ საშუალებისკენ. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული გონივრული ზომები იმისთვის, რომ დაიცვას შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რომელთა შორისაა, *inter alia*, თვითმხილველის ჩვენება, ექსპერტიზის შედეგები, სადაც შესაძლებელია, გვამის გამოკვლევის შედეგი, რომელიც ასახავს სრულ და ზუსტ დაზიანებებს და კლინიკური დასკვნების ობიექტურ ანალიზს, მათ შორის, გარდაცვალების მიზეზს. ამ კონტექსტში პროცესის არსებითი მახასიათებელია სისწრაფის და გონივრულობის მოთხოვნები (იხ. *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ,* no. 50375/07, §§ 80-81, 18 ივლისი 2019, სხვა მითითებებთან ერთად). სასამართლოს წინაშე არსებულ საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილში, დარღვევის დადგენა მეტწილად ემყარებოდა დაუსაბუთებელი შეფერხებების არსებობას და ხელისუფლების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობას სამართალწარმოების დროს, მიუხედავად მისი საბოლოო შედეგისა (იხ. მაგ, *მერკულოვა უკრაინის წინააღმდეგ*, no. 21454/04, § 51, 3 მარტი 2011, სხვა მითითებებთან ერთად).

33. გამოძიების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები ვითარებაში ჩართული ან სავარაუდოდ ჩართული ნებისმიერი პირისგან. ეს გულისხმობს არა იერარქიულ ან ინსტიტუციურ, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც. მეტიც, გამოძიება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსხვერპლის ოჯახისთვის, მათი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის საჭიროებისთვის. ასევე საკმარისად უნდა არსებობდეს გამოძიების საჯაროობის ელემენტი, რომლის ხარისხი საქმეების მიხედვით სხვადასხვაგვარია. მეტიც, გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის სრულყოფილ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. გამოძიების ამ გარდაუვალი მახასიათებლიდან გადახვევა არსებითი ხარისხით ძირს უთხრის გამოძიების შესაძლებლობას, დაადგინო საქმის გარემოებები და, სადაც საჭიროა, პასუხისმგებელი პირების ვინაობა (იხ., *მუსტაფა ტუნჩი და ფეცირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა],* no. 24014/05, § 175, 14 აპრილი, 2015 და *ელ-მასრი იუგოსლავიის ყოფილი ქვეყანა მაკედონიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, no. 39630/09, § 183, ECHR 2012). მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობა ფასდება რამდენიმე არსებითი პარამეტრების საფუძველზე, რაც მოიცავს ზემოხსენებულ ფაქტორებსაც, ეს ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია და თითოეული მათგანი, ცალკე აღებული, არ არის გადამწყვეტი. ეს კრიტერიუმები, მთლიანობაში აღებული, შესაძლებელს ხდის შეფასდეს, გამოძიების ეფექტიანობის ხარისხი. ამ მიზანთან მიმართებით უნდა შეფასდეს გამოძიების ეფექტიანობის ნებისმიერი საკითხი, მათ შორის მისი დროულობა და გონივრულობა (იხ., *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,* nos. 8938/07 და 41891/07, § 131, 2 აპრილი, 2020, შემდგომი მითითებებით).

ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეზე

34. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს საჩივრის არსებითი გარემოებების განხილვა დაიწყოს იმ ნაწილით, რომელიც ეხება მომჩივნის მეუღლის გარდაცვალების გარემოებებთან

დაკავშირებული გამოძიების არაეფექტიანობას და შემდეგ მიუბრუნდეს საკითხს, მის სიკვდილზე პასუხისმგებლობა ეკისრება თუ არა სახელმწიფოს.

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის მეუღლე გარდაიცვალა 2008 წლის 16 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხელში. თუმცა, პირველი საგამოძიებო ღონისძიებები, გარდაცვალებიდან დაუყოვნებლივ, ჩატარდა არა პროკურატურის, არამედ იმავე ხელისუფლების ორგანოს - შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების მიერ, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით პროკურატურა ჩაუდგა სათავეში გამოძიებას, პროკურორები ეყრდნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებას, რაც მთავრობამაც აღიარა. ამდენად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირველესი და ყველაზე გადამწყვეტი საგამოძიებო ნაბიჯები გადადგა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რაც გარდა იმისა, რომ წარმოადგენდა ეროვნული პროცედურული კანონმდებლობიდან გადახვევას, აგრეთვე აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. ასეთი პროცედურული ხარვეზი მხოლოდ ხელს შეუშლიდა გამოძიების მომდევნო განვითარებას (იხ., მაგალითად, *ვაზაგაშვილი და შანავა,* ციტირებული ზემოთ, § 87, და *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, no. 25091/07, §§ 245-49, 26 აპრილი, 2011). რაც შეეხება გამოძიების მიმდინარეობას, მას შემდეგ რაც 2008 წლის 18 აგვისტოს ის გადაიბარა პროკურატურის რეგიონულმა ოფისმა, სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია ამ უკანასკნელი ხელისუფლების ამოუხსნელი, დაჟინებული და, შესაბამისად, შესაძლოა განზრახი უარით, ჩაერთო მომჩივანი საქმეში, რათა მას სრულად ესარგებლა დაზარალებული მხარის სტატუსით. ამ სტატუსის არქონის გამო, მომჩივანს არ შეეძლო რაიმე სახის პროცედურული უფლებით სარგებლობა. მას არ შეეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია გამოძიების თაობაზე და არ ჰქონდა უფლება, გაცნობოდა გვამის გაკვეთის ექსპერტიზის დასკვნას.

36. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ, საქმის მასალების თანახმად, მომჩივნის მეუღლის მკვლელობასთან დაკავშირებულ გამოძიებას, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს დაიწყო, ამ დრომდე არ გაუკეთებია რაიმე შემაჯამებელი დასკვნა. ამგვარი დაყოვნება მიუთითებს ეროვნული ორგანოების მარცხზე, შეასრულონ გამოძიების დროულობისა და გონივრულობის მოთხოვნები (იხ., მაგალითად, *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ,* no. 80909/12, § 58, 13 ნოემბერი, 2014). სასამართლომ ვერ დაადგინა, რაიმე კონკრეტული მიზეზი, ეროვნულ დონეზე გამოძიების გაჭიანურებისათვის. სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა, რაც სასამართლოს მოსაზრებით განზრახ გაჭიანურებას გავდა, კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ იყო მკაცრი და მომჩივანს ართმევდა შესაძლებლობას, მოეპოვებინა ზიანის ანაზღაურება (შეადარეთ, *საყვარელიძე,* ციტირებული ზემოთ, § 54). ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს უდრის, ვინაიდან უმოქმედობის უმიზეზო პერიოდების არსებობა და ხელისუფლების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა გამოძიებას არაეფექტიანად აქცევს, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად (იხ., *ვაზაგაშვილი და შანავა,* ციტირებული ზემოთ, § 89).

37. ამრიგად, თავდაპირველი გამოძიების დროს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობის, აგრეთვე საქმის წარმოებიდან გარდაცვლილის ნათესავის ჩამოშორებისა და აუხსნელი გაჭიანურებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის ქმრის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტიანი იყო და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებებს.

38. რაც შეეხება კონვენციის მე-2 მუხლის არსებით ნაწილთან დაკავშირებულ საჩივარს, სასამართლო აღნიშნავს, მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა, რომ რ.შ. მოკლა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ რ.შ.-ს დაკავებასა და ესკორტში. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მთავრობას ეკისრება, რომ წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა განსახილველი მოვლენები (იხ., *ხაირულინა რუსეთის წინააღმდეგ,* no. 29729/09, §§ 69-72, 19 დეკემბერი, 2017). აღნიშნული ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა, სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოიწვევს კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას (იხ., *სარიბეკიანი და ბალიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ,* no. 25746/11, §§68-70, 30 იანვარი, 2020; *გულიანი სომხეთის წინააღმდეგ,* no. 11244/12, §91, 20 სექტემბერი, 2018; და *გაისანოვა რუსეთის წინააღმდეგ,* no. 62235/09, §112, 12 მაისი, 2016).

39. ამ მიმართულებით, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გამოძიება ეროვნულ დონეზე არ დასრულებულა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მაშინ, როდესაც მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ვერსიის თანახმად, სამართალდამცავებმა ძალის გამოყენების საშუალებას რ. შ.-ის დაკავებისას მის მიერ გაქცევის აღსაკვეთად მიმართეს, ხსენებული ვერსია არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით. მომჩივნის გარდაცვლილი მეუღლის ცხედრის შემოწმების შედეგები მისი მემკვიდრისთვის ყოველივე მიზეზის გარეშე არ გახადეს ხელმისაწვდომი და ამასთან, მთავრობამ არც სასამართლო უზრუნველყო ამ შედეგებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკვანძო მნიშვნელობის იყო გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებებისა და მისი გარდაცვალების მიზეზის დასადგენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ მიიღებს წარმოდგენილ ოფიციალურ ვერსიას ლეტალური ძალის გამამართლებელ მიზეზების შესახებ. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე თვითმხილველის ჩვენებაზე, რომელიც მომჩივნის მეუღლის დაკავებისას პოლიციის ბრუტალურობასა გარდაცვლილის სხეულის ამსახველ ვიდეო ჩანაწერზე ნათლად გამოკვეთილი დაზიანებების ხარისხზე მიუთითებს. აღნიშნული დაკვირვებები კი ძნელად თუ შეეესაბამება პოლიციის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ რ. შ.-ის სიკვდილი დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად საჭირო ძალის გამოყენების შედეგი იყო (*ვაწაიევა რუსეთის წინააღმდეგ* [კომიტეტი], no. 44658/12, § 61, 21 იანვარი, 2020).

40. შეჯამების სახით, სასამართლო აღგენს, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა, წარმოედგინა ახსნა-განმარტება მომჩივნის მეუღლის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით და მისი სიკვდილის გამო მოპასუხე სახელმწიფოს

პასუხისმგებლობა სახეზეა (*კანტარაგიუ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ* no. 13013/11, § 29, 24 მარტი, 2020, და აგრეთვე, *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ*, no. 35403/06, § 95, 15 თებერვალი, 2011.)

41. სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის როგორც არსებითი, ასევე პროცედურული ნაწილის დარღვევას.

კონვენციის 41-ე მუხლი:

სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 40, 000 ევრო მიაკუთვნა.